ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ”.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების დანართის მე–15 მუხლის მე–4 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულო უფლებამოსილია დაადგინოს მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობა.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის ქონების მართვის და პრივატიზების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში ვალერი ყაჭეიშვილი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: **ირაკლი კუჭავა**

პ რ ო ე ქ ტ ი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება
ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას, ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5 %-ის ოდენობით.

მუხლი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო /ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას, აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი **ვალერი ყაჭეიშვილი**

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის შესახებ – დადგენილების თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების დანართის მე–15 მუხლის მე–4 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულო უფლებამოსილია დაადგინოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ბიჯის სიდიდისა და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობა.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*